# გილოცავთ ახალ 1996 წელს!

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| სამ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| ოთ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| ხუთ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| პარ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| შაბ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| კვ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| სამ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| ოთხ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| ხუთ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| პარ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| შაბ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| კვ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |


# პრივატიზების მაცნე

№ 18-19

დეკემბერი,
1995 წელი

PRIVATIZATION
HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი — გამოდის 1993 წლიდან — ფასი 25 თეთრი


## ნომერში


საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება — გვ. 1

თვალსაჩინო შედეგები ანუ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია — გვ. 4, 5

დამტკიცდა მორიგ აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხა — გვ. 4

მხოლოდ ციფრები (მე-5, მე-16, მე-17, მე-18 აუქციონების მოკლე ანალიზი) — გვ.7-8

რესტრუქტურირება გერმანიაში — გვ. 10

განცხადებები — გვ. 11

უაღრესად საჭირო წიგნი — გვ. 12

ჩვენი ლექსიკონი — გვ. 12


### საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
## დადგენილება №743

1995 წლის 30 ნოემბერი
ქ. თბილისი

**"მცირე სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების გაუქმების თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს: გაუქმდეს "მცირე სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 9 თებერვლის № 67 დადგენილება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. ბასილია

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში**

# კოლეგიამ განმეორებით იმსჯელა მცირე ობიექტების პრივატიზებაზე

გაცეთ "პრივატიზაციის მაცნეს" 1995 წლის მე-16 ნომერში ვიუწყებოდით, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ 28 სექტემბერს იმსჯელა "მცირე ობიექტების პრივატიზების მიმდინარეობის შესახებ". კოლეგიაზე საგრძნობლად გამოიკვეთა ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის სრული სურათი. მთელ რიგ პოზიტიურ მომენტებთან ერთად აღინიშნა, რომ ცალკეულ რაიონებში ჯერ კიდევ დაბალია პრივატიზაციის ტემპები, უპასუხისმგებლობით, მოუქნელობით გამოწვეული ნაკლოვანებები და სხვ. ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს მიეთითათ, რომ ერთი თვის ვადაში რადიკალურად შეეცვალათ მცირე ობიექტების პრივატიზებისადმი დამოკიდებულება, დაეჩქარებინათ პროცესი იმის გათვალისწინებით, რომ წლის ბოლომდე დამთავრდეს საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობა.

კოლეგიამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ ერთი თვის შემდეგ, 30 ნოემბერს დაბრუნებოდა ამ საკითხს და კიდევ ერთხელ გაეანალიზებინა, თუ რა დასკვნებს გააკეთებდნენ ქონების მართვის ადგილობრივი ორგანოები, რამდენად მოახერხებდნენ ისინი პროცესის დაჩქარებას, ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევას.

30 ნოემბერს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიაზე კვლავ მოიწვიეს შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები, პრესის, ტელევიზიის, რეგიონის თანამშრომლები. საკითხის განხილვის შემდეგ კოლეგიამ მიიღო დადგენილება (№56-01-1217). მასში ნათქვამია:

"1. ცნობად იქნეს მიღებული საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკაში მცირე პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ 1995 წ. 30 ნოემბრის მდგომარეობის მიხედვით.

2. აღინიშნოს ზესტაფონის, წყალტუბოს, ხონის, ლენტეხის, ჭიათურის, კასპის, ხარაგაულის, ხაშურის, სენაკის, მარტვილის, ჩოხატაურის, ახალქალაქის რაიონული განყოფილებების კარგი მუშაობა მცირე ობიექტების პრივატიზების საქმეში.

3. მკაცრად გაფრთხილდნენ თბილისის, ქუთაისის, ბორჯომის, დმანისის, საჩხერის, ცაგერის, თერჯოლის, მარნეულის, საგარეჯოს, გურჯაანის, მესტიის, სიღნაღის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები მცირე ობიექტების პრივატიზების საქმეში გაწეული არასაკმარისი მუშაობის გამო.

4. ეცნობოს ქ. თბილისის მერიას ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ მცირე პრივატიზაციის საქმეში გაწეული მუშაობის მეტად დაბალი ტემპების შესახებ (დამტკიცებული 2960 ობიექტიდან მ/წლის 30 ნოემბრისათვის პრივატიზებულია 1658 ობიექტი, ანუ 56%).

ეთხოვოს ქ. თბილისის მერიას, აღნიშული მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე გატარებული ღონისძიების შესახებ აცნობოს სამინისტროს მ/წ 25 დეკემბრამდე.

(დასასრული მე-2 გვ.)

ფოლკნერ შოთი და ბარბარა რეილი

# რესტრუქტურირება გერმანიაში

## მეტი აქტიური რესტრუქტურირება

ა) 1992 წელს, ახლად შექმნილი მიწების (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების) და პროფკავშირების მხრივ მზარდი პოლიტიკური ზეწოლის შედეგად, "ტჰა" იძულებული იყო აემაღლებინა თავისი როლი რესტრუქტურირების პროცესში.

მართალია ბევრმა კომპანიამ, განსაკუთრებით მსხვილმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს მუშაკთა რიცხვი, რათა ამით მოეზიდათ ინვესტორები, მსურველები მაინც არ ჩანდნენ. მიუხედავად ამისა, ზოგი კომპანიის დახურვა მაინც არ შეიძლებოდა, რადგანაც მათ მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ თავიანთი რეგიონებისათვის. ამიტომ ახლად შექმნილი მიწები და "ტჰა" წავიდნენ კომპრომისზე, რათა აღმოსავლეთ გერმანიისათვის შეენარჩუნებინათ ინდუსტრიული ბაზა. რეგიონის ხელისუფლება განსაზღვრავს საკვანძო კომპანიებს, რომლებსაც ისინი განიხილავენ როგორც რესტრუქტურირების პოტენციურ კანდიდატებს და რომლებისთვისაც მზად არიან მისცენ სახელმწიფო სუბსიდიები. სახელმწიფო წინადადებაზე თანხმობის შემთხვევაში "ტჰა" კომპანიებს აძლევს ფონდებს ინვესტიციებისათვის მათი ინდივიდუალური ბიზნეს-გეგმის საფუძველზე. ეს კომპანიები ასევე მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ "ტჰა"-სა და საგარეო კონსულტანტებისაგან, ახალი, უფრო ეფექტური შიდა ორგანიზაციული სტრუქტურების დამუშავებისა და ახალი ბაზრების ძიების სახით.

თუ "ტჰას" სხვა აზრი აქვს ამ კომპანიების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ, მაშინ იგი კომპანიებზე გასცემს ფულის იმ თანხას, რაც აუცილებელია მისი ლიკვიდაციისათვის, ყველა დანარჩენი ხარჯები რესტრუქტურირებისათვის კი სახელმწიფოს აწევება.

სხვაგვარი ტაქტიკა იქნა მიღებული წვრილი კომპანიებისათვის. აქ უმთავრესი იყო ძალისხმევა საწარმოს გასაყიდად, განსაკუთრებით წახალისებას იმსახურებდა კომპანიების გამოსყიდვა თავიანთი მმართველების მიერ.

საშუალო სიდიდის კომპანიებისათვის "ტჰამ" შეიმუშავა მმართველობითი საჰოლდინგე კომპანიების მოდელი, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

ბ) მოვლენათა ზემოთწარმოდგენილი ვარიანტების განვითარებამდე შემუშავებული იყო ოთხი წინადადება მმართველობითი კონტროლის გაძლიერებისა და იმ კომპანიების ფინანსური მხარდაჭერისათვის, რომლებისთვისაც ვერ პოულობდნენ კომპეტენტურ კერძო ინვესტორს. ეს წინადადებები ჩვეულებრივ ითვალისწინებდა ორ მონაწილეს: მიწების ხელისუფალთ, რომლებსაც სურდათ მონაწილეობის მიღება აქტიური რესტრუქტურირების პროცესში, მაგრამ არ გააჩნდათ ამისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, და ბანკებს, რომლებიც ფლობდნენ ფონდებს, მაგრამ უფრთხოდნენ რისკიან ვალდებულებებს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ აქამდე არცერთი შემოთავაზებული მოდელი პრაქტიკულად არ მოქმედებს.

პირველი წინადადება, რაც მიწის ხელისუფლებამ გააკეთა, ითვალისწინებდა მათი იურისდიქციის ფარგლებში მდებარე ინდივიდუალური კომპანიების არასაკონტროლო აქციების პირდაპირ ფლობას. საკონტროლო პაკეტი უნდა ყოფილიყო სამრეწველო ინვესტორის კუთვნილებაში მმართველთა თავის საკუთარი ჯგუფით, ან ინსტიტუციონალური ინვესტორის კუთვნილებაში, რომელიც გამოისყიდიდა მმართველობას. თავისი, როგორც მინორიტარული აქციონერის უფლებების ასამაღლებლად სახელმწიფო უნდა დათანხმებულიყო თავის თავზე აეღო ხარჯები რესტრუქტურირების შესახებ პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებზე.

ამ წინადადების პრაქტიკული გამოყენების ერთადერთმა შემთხვევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ამის უფლება მისცეს თავის თავს. ტიურინგიის მიწა, რომელმაც ოპტიკის მწარმოებელ კარლ ცეისის კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტი მიიღო, იძულებული იქნებოდა დაახლოებით 800 მილიონი გფრ მარკა გადაეხადა ამ კომპანიის პრივატიზაცია-რესტრუქტურირების დამთავრებამდე.

მეორე წინადადება ეხებოდა მიწის ხელისუფლების მიერ ინსტიტუციურ ინვესტორებთან ერთად რაიმე ფონდების შექმნას. ეს ფონდები იქმნებოდა შესაბამის მიწებზე განლაგებული კომპანიების აქციათა შესაძენად. მოცემული ცდა ასევე ჩაიშალა, რადგანაც მიწის ხელისუფლებმა ვერ შეძლეს ინსტიტუციური ინვესტორების საკმარისი კაპიტალის მოზიდვა. პირველი და უკანასკნელი ფონდი იყო საშენფონდსი.

მესამე წინადადება ითვალისწინებდა ვენჩურის კაპიტალის გამოყენებას რესტრუქტირების მიზნით. შეიქმნა რამდენიმე კომპანია ვენჩურის კაპიტალით (რომლის ინიციატორებიც იყვნენ ბანკები). როგორც მსგავს ვენჩურის კომპანიებს ახასიათებთ, მათ შეიძინეს პოტენციურად ცოცხალი მცირე და საშუალო საწარმოთა მცირე ოდენობა, რთული შემთხვევები კი სხვებს დაუტოვეს.

და ბოლოს, სოლიდარობის პაქტის ჩარჩოებში, რაც მოიცავს ფედერალურ და მიწის ხელისუფლებას, პროფკავშირებსა და მუშათა ასოციაციებს ბანკები დათანხმდნენ რესტრუქტურირების მიზნით გაეცათ კაპიტალი 1 მილიარდი გფრ მარკის ოდენობით. დღემდე მხოლოდ კომერციულმა ბანკებმა შექმნეს საჰოლდინგე კომპანია და გამოუყვეს მას 400 მილიონი მარკა.

"ტჰამ" ბანკებს საყიდლად შესთავაზა დაახლოებით 400 კომპანია, თანაც "პაკეტებით", რომლებიც მოიცავდა როგორც კარგ ისე ცუდ კომპანიებს. მაგრამ ბანკებმა უარი თქვეს იმ კომპანიების ყიდვაზე, რომელთა ლიკვიდირებაც შეიძლებოდა დასჭირვებოდათ,

სულ ახლახანს კომერციული ბანკების მიერ დაფუძნებულმა საჰოლდინგე კომპანიამ წინადადება წამოაყენა, რომ იყიდის ხუთ კომპანიას.

## 5.მმართველობითი საჰოლდინგე კომპანიები

ა) კომპანიები, რომლებსაც არ შეუძლიათ სწრაფად პრივატიზება, ეჯახებიან, სულ მცირე, ორ პრობლებსაც: არასაკმარის მმართველობით გამოცდილებას და საინვესტიციო კაპიტალის ნაკლებობას. ამ სიძნელეთა გადასალახავად საშუალო მასშტაბის საწარმოებისათვის შემუშავდა მმართველობითი საჰოლდინგე კომპანიები.

"ტჰას" მიერ დაქირავებული მენეჯერები აუცილებელ გამოცდილებასა და კომპეტენციას სძენენ რესტრუქტურირების პროცესს. ჰოლდინგები ერთად აჯგუფებენ საშუალო სიდიდის კომპანიებს, რომლებიც ცალცალკე, საკმაოდ მიმზიდველი ვერ იქნებოდნენ ნიჭიერი მენეჯერებისათვის. რაკილა ამ კომპანიებისათვის ვერ მოხერხდა კერძო ინვესტორთა მონახვა, "ტჰას" მოუხდა უზრუნველეყო ფინანსური რესურსები მათი რესტრუქტურირებისათვის.

იმისათვის, რომ შეზღუდონ დანახარჯები რესტრუქტურირებაზე და მიაღწიონ კომპანიების რაც შეიძლება სწრაფ პრივატიზებას, საჰოლდინგე კომპანიები შეიქმნა შეზღუდული ვადით – 3 წლით. "ტჰა" ასევე უნდა დაეთანხმოს კომპანიების წლიურ ბიუჯეტებს. ამის გარდა "ტჰამ" და მის მიერ დაქირავებულმა მენეჯერებმა შეათანხმეს სტიმულირების მექანიზმი, რაც მხარს უჭერს დაჩქარებულ პრივატიზებას და ეკონომიკურ რესტრუქტურირებას.

ბ) საჰოლდინგე კომპანიები შემდეგნაირადაა მოწყობილი: მენეჯერები ხდებიან დახურული ტიპის კორპორაციების აქციონერები და ასევე არიან მისი მმართველობის წევრები, რომლებსაც აქვთ აღმასრულებელი უფლებები. მათ შეაქვთ თანხა, დაახლოებით 250000 გფრ მარკა, რათა დაამტკიცონ საქმისადმი ინტერესი. "ტჰას" რჩება აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რაც საშუალებას აძლევს იმოქმედოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაზე.

შემდეგ დახურული ტიპის კორპორაცია და "ტჰა" ქმნიან შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობას, ამასთან კორპორაცია არის გენერალური პარტნიორი, "ტჰა" კი – შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორი. "ტჰა" გამოყოფს კაპიტალს – 250 მილიონი გფრ მარკის ოდენობით საჰოლდინგე კომპანიისათვის, და პირდება, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გამოყოფს დამატებით კაპიტალს. დაბოლოს, "ტჰა" საჰოლდინგე კომპანიას გადასცემს თავის, რესტრუქტურირებას დაქვემდებარებული კომპანიების აქციებს.

დახურული ტიპის კორპორაცია ვალდებული არ არის პარტნიორობაში შეიტანოს რაიმე გადახდილი კაპიტალი. იგი ასევე არც წაგების ნაწილს იხდის "ტჰასაგან" განსხვავებით და არც მონაწილეობს მოგებაში ან, როგორც შეიძლება მოხდეს, ლიკვიდაციით მიღებულ სარგებელში. მისი ერთადერთი შენატანია მმართველობითი გამოცდილება და კომპეტენცია. თუმცა, თუ მენეჯერები მოქმედებენ უპასუხისმგებლოდ ან არასწორად, მათ პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ "ტჰას" წინაშე.

მმართველობითი საჰოლდინგე კომპანიების იურიდიული სტრუქტურის უკანასკნელი ელემენტია მათი კონსულტანტიური საბჭოები (რომლებიც არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს). და მაინც, ამ საბჭოებს ვეტოს უფლება აქვთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებთან მიმართებაში (ბიზნეს-გეგმა, პრივატიზება, ლიკვიდაცია და დახურვა). ამ საკონსულტაციო საბჭოებში ადგილების ნახევარი მუშაკთა წარმომადგენლებს ეკუთვნის. საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც დამქირავებელთა წარმომადგენელია, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს თანაბარი ხმების შემთხვევაში.

გ) მმართველობითი საჰოლდინგე კომპანიების კონცეფციის ბირთვია სტიმულირების მექანიზმი მენეჯერებისათვის. ასეთ სტიმულირების მექანიზმებში კრიტიკულ მომენტს წარმოადგენს წარმატების განსაზღვრება. "ტჰას" მიზანია უზრუნველყოს დაჩქარებული პრივატიზება რესტრუქტურირებაზე მინიმალური შესაძლო ხარჯების დროს, მგრამ "ტჰა" ზრუნავს არა მარტო პრივატიზებულ კომპანიათა სარგებელზე, არამედ ასევე ახლადშექმნილ ან შენარჩუნებულ სამუშაო ადგილებზე და მყიდველის მიერ ჩადებულ საინვესტიციო კაპიტალის სიდიდეზე.

წარმატების არითმეტიკულ საზომს წარმოადგენს ჰოლდინგში შემავალი ყველა კომპანიის "საბოლოო ღირებულებასა" და "საწყის ღირებულებას" შორის განსხვავება (ე.ი. დამატებითი ღირებულება). "საწყისი ღირებულება" მოიცავს ყველა კომპანიის "სალიკვიდაციო ღირებულებას" ჰოლდინგის შექმნის მომენტში დროის გარკვეულ პერიოდში გარდაუვალი ზარალის გამორიცხვით (სალიკვიდაციო ღირებულება არჩეულ იქნა, რადგანაც რესტრუქტურირების ალტერნატივა არის კომპანიის დახურვა).

"საბოლოო ღირებულება" მოიცავს ამონაგებს მთელი კომპანიის გაყიდვიდან. პირველი და მეორე წლის განმავლობაში გაყიდვისათვის გათვალისწინებულია პრემიები. დამატებითი პრემია გაიცემა შენარჩუნებული სამუშაო ადგილებისა და კაპიტალისათვის, რასაც მყიდველი პირდება საინვესტიციო მიზნით, ოღონდ ეს გარანტიები განმტკიცებულია ჯარიმებით.

ამასთან დამატებით საბოლოო ღირებულება მოიცავს კომპანიების ღირებულების 80 პროცენტს (სალიკვიდაციო), რომლებიც არ გაიყიდა ჰოლდინგის კომპანიის არსებობის სამწლიანი არსებობის განმავლობაში. სალიკვიდაციო ღირებულება განისაზღვრება ამ სამწლიანი არსებობის განმავლობაში. სალიკვიდაციო ღირებულება განისაზღვრება ამ სამწლიანი პერიოდის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით. გათვალისწინებულია 20 პროცენტით ფასდაკლება რესტრუქტურირების დასასჯელად, რომელსაც არ მოჰყვა პრივატიზება. კომპანიის ღირებულების გაზრდა არ არის მიზნის მატარებელი არც შიგნით და არც თავისთვის. ამის ნაცვლად იგი უნდა აისახოს კომპანიის გაყიდვის შედეგებში.

საბოლოო ღირებულება მცირდება ფონდების სიდიდეზე, რომელთაც "ტჰა" გაიღებს რესტრუქტურირებისათვის.

ჰოლდინგური კომპანიების მართვაზე გაწეული ხარჯები, რომლებსაც იხდის "ტჰა", არ გამოიქვითება, რადგანაც უმნიშვნელოდ ითვლება რესტრუქტურირებაზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით. ეს ხარჯები მოიცავს ხელფასს დახლოებით 15 თანამშრომლისათვის, ასევე საგარეო კონსულტანტების ჰონორარებს. "ტჰას" მიერ დახარჯულ კაპიტალზე პროცენტები ასევე არ შედის განტოლებაში. ეს, რასაკვირველია, არღვევს ხარჯების მინიმიზაციის მიზანს.

დასაწყისიდან სტიმულირების სქემა მენეჯერებს სთავაზობდა მხოლოდ მცირე პროცენტს კომპანიებისათვის დამატებული ღირებულებიდან. მასში არ იყო კომპენსაციის თანხის აბსოლუტური ლიმიტი, რომლის გამომუშავებაც მენეჯერს პოტენციურად შეეძლო. ამ პოტენციურად განუსაზღვრელი კომპენსაციის სანაცვლოდ მენეჯერები უნდა დათანხმებულიყვნენ ზოგ ალტერნატიულ ხარჯებზე, რაც ამ სამუშაოს უკავშირდებოდა. ისინი მოიცავენ: ფიქსირებულ ხელფასს, უფრო ნაკლებს ვიდრე დასავლეთში შეეძლო მიეღოთ, უფრო რთულ სამუშაოს და, მისიის ჩაშლის შემთხვევაში, მათი კარიერისათვის ნეგატიურ შედეგებს. თუმცა, რესტრუქტურირების პროცესში მათ არ სჭირდებოდათ საკუთარი აქტივებით რისკის გაწევა.

მოცემულმა სქემამ მაინც ხმაური გამოიწვია სამინისტროში, რომელიც "ტჰას" აკონტროლებდა, და რომელმაც მოითხოვა შეეზღუდათ მენეჯერების კომპენსაციის სიდიდე. სავარაუდოდ, ცდა ბეგარისგადამხდელთა ფულის დაზოგვისა შეიძლება უშედეგო გამოდგეს, რადგანაც მენეჯერებს არ მისცემს სტიმულს ზედმეტი ნაბიჯი გადადგან მას შემდეგ, როცა საკუთარ ჭერს მიაღწევენ.

დ) "ტჰამ" თავისი გულუხვი ფინანსური დახმარების სანაცვლოდ ჰოლდინგურ კომპანიებში გარკვეული მაკონტროლებელი უფლებები შეინარჩუნა. ჰოლდინგური კომპანიების სამწლიანი ბიზნეს-გეგმები, რომლებიც მოიცავენ თავიანთ დოჩერულ საწარმოებსა და ყოველწლიურ ბიუჯეტებს, უნდა დაამტკიცოს "ტჰამ". სააგენტოც ასევე ღებულობს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს და აქვს ვეტოს უფლება ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმართ (პრივატიზება, დახურვა ან ლიკვიდაცია). იმავე დროს "ტჰა" არ ერევა კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაში.

ე) ამ დროისათვის შექმნილია ხუთი მმართველობითი ჰოლდინგური კომპანია. ისინი, თავის მხრივ, კისრულობენ პასუხიმგებლობას 60 საწარმოზე 30000 მუშაკით. ერთი ჰოლდინგური კომპანიის ბრუნვა საშუალოდ დაახლოებით 500 მილიონი გფრ მარკაა წელიწადში. თითოეული ჰოლდინგის საწარმოებში ჩვეულებრივ 2-3 დარგს წარმოადგენენ. ეს იმისათვის, რომ აღარ დაიწყოს ძველი კონგლომერატების აღდგენა.

შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ რესტრუქტურირებაზე "ტჰას" დანახარჯებმა რესტრუქტურირებაზე თითოეულ ჰოლდინგურ კომპანიაზე 300-დან 500 მილიონ გფრ მარკამდე შეადგინოს. ამ თანხის ნაწილი უკან უნდა დაბრუნდეს პრივატიზების შემდეგ.

## 6. დასკვნა

გერმანიის გამოცდილება დღეისათვის გვაჩვენებს, რომ პრივატიზების სააგენტოსათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწრაფი პრივატიზება, რათა შემცირდეს პოლიტიკური ზეწოლა, რასაც მას უწევენ იმ მიზნით, რომ აიძულონ აქტიური რესტრუქტურირება ჩაუტაროს წამგებიან საწარმოს. თუ არ ხერხდება აქტიური რესტრუქტურირების აცილება საპრივატიზაციო სააგენტოს ეგიდით, ამ სამუშაოსათვის საჭიროა დაიქირავონ კომპეტენტური მენეჯერები. ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა გააკეთდეს რთული არჩევანი რესტრუქტურირების ხარჯებსა და უმუშევრობის ხარჯებს შორის. უმოქმედობა შესაძლოა უფრო ძვირი დაჯდეს გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 17

# განცხადებები

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს სათხის სამხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე: არქიტექტურის და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა 12600 აშშ დოლარი.

საკონკურსო პირობები:

1. პროფილის შენარჩუნება;

2. იჯარით გაცემის მომენტისათვის არსებული სამუშაო ადგილების 40%-ის შენარჩუნება 3 წლის განმავლობაში;

3. ქვიშის დამუშავების საამქროების შექმნა და ქვიშის გამოზიდვა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის;

4. იჯარით გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში საწარმოს მომგებიანად ამოქმედება.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება:

2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;

3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი, საპასპორტო რეკვიზიტები.

განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა № 001141776, მფო 521017.

განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტებში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე 3 დღით ადრე;

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა. განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში სათხის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის მუშაკთა მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20. 09. 95 წ. № 555 დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმოო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი № 307.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-27-94, 29-00-06

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

---

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის რუსთავის საწარმო "მილის" იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე: არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი.

სამმართველოს მისამართი: ქ.რუსთავი, ჯავახიშვილის ქ.№ 3

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა: 2550 აშშ დოლარი წელიწადში საკონკურსო პირობები: 1. საწარმოს პროფილის შენარჩუნება;

2. იჯარით გაცემის მომენტისათვის არსებული სამუშაო ადგილების მინიმუმ 35 პროცენტის შენარჩუნება 3 წლის განმავლობაში;

3. დამატებით სხვა სამშენებლო ნაკეთობათა წარმოების დანერგვა;

4. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში მომგებიანად ამოქმედება.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულ პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;

2. მომსახურე ბანკის დასახელება; მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;

3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი"საქართველოს ბანკი" ა/ა № 001141776, მფო 521017.

განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვით შემდეგ.

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში რუსთავის საწარმო "მილის" მუშაკთა მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94 წლის № 555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. № 64 სახელმწიო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი № 307.

ცნობებისათვის დარეკეთ: 29-27-94, 29-00-06

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

# განცხადებები

**ახალი წიგნები**

# უაღრესად საჭირო კრებული

ახლახან სააქციო საზოგადოება "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სტამბაში დაიბეჭდა კრებული "პრივატიზაცია, კანონები, დადგენილებები, ნორმატიული დოკუმენტები და ზოგიერთი მონაცემები". წიგნის ავტორები და შემდგენლები არიან სახელმწიფო ქონების მართვის მაგისტრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების უფროსი მერაბ გაბუნია, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფასიანი ქაღალდების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი დვალი, ევროგაერთიანების TACIS-ის პრივატიზაციის პროექტის მენეჯერი საქართველოში ჯასპერ ლარსენი, გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ვიოლეტა აფხაზავა.

წიგნი უაღრესად საჭიროა და მისი გამოცემა, როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, უპირველესად განაპირობა იმან, რომ, "არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფას მოითხოვს, არ არის მთლიანობაში თავმოყრილი და სისტემაზირებული". ზემოთხსენებული კრებული სწორედ ამ ხარვეზის შევსების პირველი და, თამამად შეიძლება ითქვას, წარმატებული ცდაა.

როგორც წიგნის ავტორები და შემდგენლები აღნიშნავენ, კრებულში მოცემულია, აგრეთვე, "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიმდინარეობის ზოგიერთი მონაცემები. განსაზღვრულია საპრივატიზაციო ბარათის რაობა, დანიშნულება, მისი გამოყენების წესი და საშუალებები."

დღეს განსაკუთრებით დიდია რესპუბლიკის მოსახლეობის საწარმოების, ორგანიზაციების დაინტერესება სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და აქციონირების საკითხებით. კრებულის გამოცემა მიზნად ისახავს გარკვეული დახმარება გაუწიოს სწორედ ასეთ, დაინტერესებულ ადამიანებს და მათთვის გარკვეულად შეასრულოს გზამკვლევის როლი.

როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, "კრებული შედგენილია შემდეგი პრინციპით: დაჯგუფებულია კანონები, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტები, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებები და განკარგულებები, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებები და კოლეგიის დადგენილებები. მასალები ცალკეულ ჯგუფში დალაგებულია ქრონოლოგიურად".

გულდასაწყვეტია, რომ წიგნი სულ 500 ცალად არის გამოცემული და მასზე ყველა მკითხველს ხელი არ მიუწვდება.

 რ. ქორიძე.

# ჩვენი ლექსიკონი

**ავალი** – თამასუქის წინა მხარეს ან მასზე მიმაგრებულ ფურცელზე ხელმოწერით დადასტურებული საბანკო გარანტიაა. ავალისტი – გარანტი იღებს ვალდებულებას, რომ შეასრულებს მევალის – თამასუქის გამცემის მოვალეობას.

**ავანსი** – მომავალი გადასახადების ხარჯზე მატერიალური ფასეულობებისთვის შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისთვის წინასწარ გაცემული თანხა.

**ავტარქია** – მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან – აუტარკეია, ნიშნავს თვითკმაყოფილებას, ანუ ეს არის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ჩაკეტილი, თვითუზრუნველმყოფი ეკონომიკის შექმნისაკენ.

**ათვისება** – დაგროვებული გამოცდილების ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები ინდივიდის ქცევაში.

**ბარტერი** – ეს არის კომერციის აღიარებული ფენა. ის გულისხმობს საქონლის ან მომსახურების გაცვლას სხვა სახეობის საქონელზე ან მომსახურებაზე (ოღონდ არა ფულზე)

**ბენკდრაფტი** – პირველი კლასის თამასუქი.

**ბლანკი** – ფრანგული სიტყვაა, ნიშნავს თეთრს. ეს არის ქაღალდის ფურცელი, რომელიც აღბეჭდილია ფირმის (სხვა გაერთიანების, ორგანიზაციის, საწარმოს) რეკვიზიტი. განკუთვნილია გარკვეული ფორმით საქმიანი დოკუმენტის შესადგენად.

**ბოიკოტი** – პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ხერხი. გამოიხატება ცალკეულ პირთან, ორგანიზაციასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვით, თუნდაც შეწყვეტით, სხვადასხვა საქონლის მიწოდების ხელოვნური შეფერხებით და ა.შ.

**ბუკლეტი** – ერთი ნაწარმის ან მისი მოდელის მოკლედ აღმწერი, დიდი ზომის ილუსტრაციების შემცველი გამოცემა. ბუკლეტი, როგორც წესი, გამოიცემა დიდი ტირაჟით.

**გამგზავნი** – ურთიერთობაში (კომუნიკაციაში) მონაწილე ერთი მხარე, რომელიც მიმართვას უგზავნის მეორე მხარეს.

**განაცხადი** – უნარით განმტკიცებული მოთხოვნილება.

**გაფიცვა** – მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მუშაობის კოლექტიური შეწყვეტა იმ მიზნით, რომ მეწარმეებს ან მთავრობას წაუყენონ ეკონომიკური ან პოლიტიკური მოთხოვნები და მოითხოვონ მისი შესრულება. გაფიცვების ორგანიზაცია და რეგულირება ხდება კანონის საშუალებით.

**გრატისი** – ვაჭრობაში სხვადასხვა ოპერაციებისა და გაწეული მომსახურების უანგაროდ შესრულების დროს გამოყენებული ტერმინი.

**დაგეგმვა** – ეს არის ფორმალური პროცედურა, რომელიც მიმართულია გასაღების გადიდებისა და ფირმის მოგების ზრდისაკენ და შედგება ორი ნაწილისაგან: 1)სტრატეგიული დაგეგმვა და 2) მარკეტინგის დაგეგმვა.

**სტრატეგიული დაგეგმვა** – ცალკეული (ნებისმიერი) ფირმის მიზნების, მისი პოტენციური შესაძლებლობების და მარკეტინგის სფეროს შორის სტრატეგიული შესაბამისობის მმართველობითი პროცესის შექმნა და შენარჩუნება.

**მარკეტინგის დაგეგმვა** – საწარმოო პერსონალის საქმიანობის მაკოორდინირებელი უწყვეტი ციკლური პროცესი. კოორდინირებამ უნდა შეუხამოს ბაზრის მოთხოვნილებები ფირმის შესაძლებლობებს. მარკეტინგის დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს მოვლენათა შესაძლო განვითარებას გარემო პირობების ცვლილების დროს, რისკისა და არარაციონალური საქმიანობის მინიმუმამდე დაყვანას და ა.შ.

**დეკორტი** – საქონლისათვის ფასის დაკლება მისი ვადამდე განაღდებისათვის ან გარიგების პირობებთან საქონლის რაოდენობისა და ხარისხის შეუსაბამობისათვის.

**დენომინაცია** – ფულის ერთეულის გამსხვილება და ძველი ფულის ნიშნების ახალზე გადაცვლა თანაფარდობის მიღებული ნორმების შესაბამისად.

**დეპონირება** – საკრედიტო დაწესებულებებისათვის ფულადი თანხის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა სახეობის ფასეულობათა შესანახად ჩაბარება.

**დეპოპულაცია** – მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის შეწყვეტის, შემდეგ მისი შემცირების ტენდენცია.

**დეპონენტი** – სამოქალაქო ან იურიდიული პირი, რომელსაც ეკუთვნის ის ფულადი თანხა ან სხვა ღირებულებები, რომლებიც დროებით აქვს მიმაგრებული სახელმწიფო დაწესებულებაში. დეპონენტები არიან ის მოსამსახურეებიც, რომლებსაც თავის დროზე ხელფასი არ მიუღიათ.

## ჯანდაცვის ობიექტების კოლექტივებმა უნდა იჩქარონ

საქართველოში უკვე დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პრივატიზება. ნუსხები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა, მაგრამ როგორც ირკვევა ეს პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობს. მიზეზი მრავალია. არის კურიოზებიც: ნუსხაში შეტანილია ისეთი ობიექტებიც, რომლებიც დღეისთვის არც კი არსებობენ. რაც მთავარია, ჯანდაცვის ზოგიერთი მსხვილი ობიექტები ჯეროვნად არ მოემზადნენ ამ მეტად საპასუხისმგებლო პროცესისათვის. ცხადია, რომ ასეთი ორგანიზაციების თანამშრომლები თუ არ იჩქარებენ, მაშინ დაკარგავენ იმ შეღავათებს, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში ობიექტების პრივატიზება საერთო წესით მოხდება.

## სიგარეტის ფასი მაღლა-მაღლა მიცოცავს

თბილისელ მწეველებს მაინცდამაინც სახარბიელო დღეები არ უდგათ. მათ ჯიბეს მძიმე ტვირთად აწვება სიგარეტის ფასების განუხრელი ზრდა. ეს ძირითადად ყველაზე პოპულარულ სიგარეტებს ეხებათ. ვინც ნებისყოფას ვერ იჩენს და ამ მავნე ჩვევაზე უარს ვერ ამბობს, დღეში საშუალოდ 1 ლარს მაინც ხარჯავს. ცენტრალურ ქუჩებში განლაგებულ ჯიხურებში თბილად მოკალათებული ქალბატონები უკმაყოფილო მომხმარებელს ცივად იშორებენ. ვისაც შემოაქვს ის აძვირებს და ჩვენი რა ბრალიაო. მწეველთ კი სწორედ ხილი აინტერესებთ და არა მებალე, რომელსაც სიამოვნებით გააგზავნის "მდინარის გაღმა".

თუ გინდათ სწრაფად გააფორმოთ საპრივატიზებო დოკუმენტები, ისარგებლეთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომსახურებით
ტ: 99-93-07 (დღისით)

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე“ რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. ტექსტებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. ტექსტები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.XII.95 წ.

პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში**

# კოლეგიამ განმეორებით იმსჯელა მცირე ობიექტების პრივატიზებაზე

(დასასრული)

5. ეცნობოს ქ. ქუთაისის მერიას ქ. ქუთაისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ მცირე პრივატიზაციის საქმეში გაწეული მუშაობის მეტად დაბალი ტემპების შესახებ (დამტკიცებული 521 ობიექტიდან ა/წლის 30 ნოემბრისათვის პრივატიზებულია 269 ობიექტი, ანუ 51,1%).

ეთხოვოს ქ. ქუთაისის მერიას, აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე გატარებული ღონისძიების შესახებ აცნობოს სამინისტროს მ/წ 25 დეკემბრამდე.

6. აღინიშნოს ასპინძის, ყაზბეგის რაიონების სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სახელმწიფო ქონების პრივატიზების საქმეში.

7. ეთხოვოს ასპინძის, ყაზბეგის რაიონების გამგებლებს, განიხილონ სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებების ხელმძღვანელების (მჭედლიშვილის, კაზალიკაშვილის) დაკავებულ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობონ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მ/წ 25 დეკემბრამდე.

8. აღინიშნოს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ახალგორის, ბოლნისის, დმანისის, ლენტეხის, მესტიის, ონის, ქარელის, ყაზბეგის, წალენჯიხის, წალკის რაიონების სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოების მიერ გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზების საქმეში.

9. დაისვას საკითხი სიღნაღის, საგარეჯოს, ქარელის, გორის, ჩოხატაურის, თერჯოლის, ხონის, საჩხერის, ცაგერის, ახალქალაქის, თიანეთის, ამბროლაურის, გურჯაანის ტერიტორიული ორგანოების წინაშე, განიხილონ იმ მუშაკების თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებსაც არ გაუვლიათ ატესტაცია.

10. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს, პურპროდუქტების მრეწველობის სისტემის საწარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით (ქ. თბილისში განლაგებული საწარმოების გარდა) უზრუნველყონ სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 აგვისტოს №303 ბრძანებულებით დამტკიცებულ ნუსხაში შეტანილი ობიექტების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის პროცესის ორგანიზება და შესაბამისი საპრივატიზაციო კომისიების მიერ მომზადებული, პურპროდუქტების მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციაში დამტკიცებული საპრივატიზაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, 1996 წლის 1 იანვრამდე მოახდინონ სააქციო საზოგადოებების დაფუძნება არსებული წესით.

11. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის ქ. თბილისის, ქუთაისის, გარდაბნის, ხაშურის, გურჯაანის, სიღნაღის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, მარნეულის, თეთრიწყარო და წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დარჩენილ საწარმოებისა და ორგანიზაციების (ნუსხა თან ერთვის) სააქციო საზოგადოებად გარდაქმნასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება.

12. მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30 ნოემბრის №743 დადგენილებით გაუქმდა მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 9 თებერვლის №67 დადგენილება "მცირე სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ". გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ობიექტები, რომლებიც არ გაიყიდა პირდაპირი წესით და აუქციონით, მათი ლიკვიდაციის შემდეგ სასტარტო ფასი განისაზღვროს საპრივატიზაციო ბარათებით 10 აშშ დოლარის ნომინალის გათვალისწინებით (საწყისი ფასი აშშ დოლარებში იყოფა 10-ზე). საპრივატიზებო ობიექტის ლიკვიდაცია, სასტარტო გასაყიდი ფასის განსაზღვრა საპრივატიზებო ბარათებით ხდება სამინისტროსთან შეთანხმებით.

13. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 მაისის №20.01.267 დადგენილება.

14. დაევალოთ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს 1995 წლის ბოლომდე უზრუნველყონ დამტკიცებული ობიექტების პრივატიზაციის სრულად დამთავრება და გაწეული მუშაობის შესახებ წლიური ანგარიში წარმოადგინონ 1996 წ. 15 იანვრისათვის.

15. დაევალოთ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს აპარატის განყოფილებებს, 1995 წლის ბოლომდე უზრუნველყონ სამინისტროში დატოვებული ობიექტების პრივატიზაციის სრულად დამთავრება და გაწეული მუშაობის შესახებ წლიური ანგარიში წარმოადგინონ 1996 წ. 15 იანვრისათვის.

16. კონტროლი აღნიშნულ დადგენილებაზე საკურატორო ზონების მიხედვით დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს: გ. კობერიძეს, კ. იოსელიანს, გ. დიდბარიძეს".

# ინფორმაცია

### ალექსანდრე ზავერიუხა: წელს რუსეთი მარცვლის სახელმწიფო შესყიდვას საზღვარგარეთ არ აწარმოებს

მიმდინარე წელს რუსეთი მარცვლის სახელმწიფო შესყიდვას საზღვარგარეთ არ მოახდენს. განაცხადა ჟურნალისტთა შეხვედრაზე რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ზავარიუხამ. მან აღნიშნა, რომ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეს მიმართულება მთლიანად გადაიტანეს კომერციულ სტრუქტურებზე, რომლებმაც მარტო გასულ წელს ქვეყანაში შემოიტანეს 2 მილიონი ტონა მარცვალი. ამასთან რუსეთის მარცვლეულის ექსპორტმა შეადგინა 4,5 მილიონი ტონა.

ა.ზავარიუხას სიტყვით "ენერგომატარებლებზე ფასების რეგულირების არ არსებობის პირობებში, მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო უარი თქვას ფასების ყოველგვარ სახელმწიფო რეგულირებაზე – ასევე რუსულ მარცვალზეც. განისაზღვრა მხოლოდ მინიმალური ფასი (550 ათასი მანეთი ერთ ტონაზე), რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მზად არის შეისყიდოს მარცვალი რუსეთის მწარმოებლისაგან იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ შეძლებს გაყიდვას ბაზარზე. ამ სახელმწიფო შესყიდვათა მოცულობა ჯერ არ არის დადგენილი.

რუსეთის მოსახლეობის მარცვლით უზრუნველყოფის საკითხებს მიხედავენ ადგილობრივი სასურსათო ფონდები, რომლებიც შეისყიდიან მას საბაზრო ფასებში, რომელიც რეგიონში დადგინდება მოთხოვნილებისდა მიხედვით. ა.ზავრიუხას აზრით რიგ შემთხვევებში ფონდებისთვის უფრო ხელსაყრელი გამოდგება მარცვლის შესყიდვა ახლო საზღვარგარეთში, ვიდრე მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მისი გადაზიდვა.

წლის მოსავალთან დაკავშირებული სიტუაცია რომ გააანალიზა, ვიცე-პრემიერმა გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთს შიმშილი არ ემუქრება 26 ოლქში ძლიერი გვალვის მიუხედავად, რის გამოც დაიკარგა 23 მილიონ ჰექტარზე დათესილი მარცვალი. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ორენბურგის, სარატოვისა და ვოლგოგრადის ოლქებში. 'კარგი' მოსავლის იმედი აქვთ ციმბირსა და ალტაის მხარეში.

### აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხებზე დსთ-ს სამთავრობათაშორისო საბჭოს მუშაობის შედეგების შესახებ

სანკტ-პეტერბურგში მუშაობა დაასრულა აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხებზე დსთ-ს სამთავრობათაშორისო საბჭომ. ეს ორგანიზაცია შეიქმნა ოთხი წლის წინათ ფერმერული მოძრაობის მხარდასაჭერად და ამუშავებდა კერძო სასოფლო მრეწველობისათვის საბანკო და სადაზღვევო სისტემების შექმნის საკითხებს.

მას შემდეგ საბჭოს ფუნქციები არსებითად გაფართოვდა. კერძოდ, პეტერბურგის თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მინისტრები და პრემიერმინისტრები საქართველოდან, სომხეთიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, მოლდოვეთიდან და რუსეთიდან. საუბარი იყო დსთ-ს ქვეყნების ერთიანი აგრარული ბაზის შექმნის თაობაზე. ამ პროექტის რეალიზაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საბჭოს გადაწყვეტილება დსთ-ს საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ორგანიზების შესახებ, რომელიც იმუშავებს დსთ-ს სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკურ საბჭოსთან ურთიერთკავშირში.

მინისტრებმა, აგრეთვე, განიხილეს ფერმერული მოძრაობის პრობლემები და თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყნებში აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხები.

### ვიქტორ ჩერნომირდინი: რუსეთში აღდგენილია ფინანსური ბაზრის ნორმალური მუშაობა

იტარ-ტასის კორესპონდენტის თხოვნაზე, კომენტარი გაეკეთებინა რუსეთის საბანკო სექტორში შექმნილი სიტუაციისათვის, პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა აღნიშნა, რომ მოსკოვის რიგი კომერციული ბანკების ლიკვიდურობის შემცირება აგვისტოს ბოლოს დროებით ხასიათს ატარებდა.

მთავრობამ, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბარკმა და უმსხვილესმა კომერციულმა ბანკებმა – თქვა მან, – შეიმუშავეს და განახორციელეს ღონისძიებები ამ პრობლემის გადასაჭრელად. განახლდა ბანკთაშორისი ბაზრის ანგარიშები. ნორმალური რეჟიმით მუშაობენ ფინანსური ბაზრის სხვა სექტორები: სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა ბაზარი, სავალუტო ბაზარი, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარი. რუსეთის ფედერაციის მთავრობამ აღადგინა ფინანსური ბაზრების ნორმალური მუშაობა ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შესყიდვით და სხვა ღონისძიებებით, რომლებიც მთლიანად შეესაბამება რუსეთის ფულად პროგრამას და მის საერთაშორისო მოვალეობებს.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარემ გაოცება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგ საზღვარგარეთულ ბანკს აქამდე არ აღუდგენია ნორმალური ფინანსური ურთიერთობა რუსეთის ბანკებთან, იმ დროს, როცა საბანკო სიტუაცია რუსეთში უკვე ნორმალიზებულია.

### 1995 წლის IV კვარტალში რუსეთის ფედერაციაში შიდა სავალუტო ბაზარზე მანეთის კურსის ცვლილებების კორიდორის შესახებ

როგორც 1995 წლის III კვარტალის გამოცდილებამ გვაჩვენა, მან[illegible] კურსის ცვლილებების კორიდორის შემოღებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა რუსეთში ეკონომიკურ სიტუაციაზე. პირველ რიგში ეს აისახა ინფლაციის დინამიკის ცვლილებაში, აღნიშნა ეკოტასის კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის უცხოურ ოპერაციათა დეპარტამენტის დირექტორმა ალექსანდრე პოტიომკინმა.

ამგვარად ინფლაციის ზრდის ტემპები თვეობრივი გამოანგარიშებით შენელდა ივლისში 1,3 პროცენტიანი პუნქტით ივლისში 1,2-ის საპირისპიროდ, ივლისში'და 0,6-ით მიმდინარე წლის მაისისა. მიმდინარე ინფლაციის დაბალი აბსოლუტური დონის გათვალისწინებით (5,4 პროც. თვეობრივი გაანგარიშებით) ინფლაციის ზრდის სიჩქარის შემდგომი შენელების პროგნოზირება არ იქნება რეალისტური, აღნიშნა ა.პოტიომკინმა. თუმცა არსებობს საკმაო საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ინფლაცია აგვისტოში თვეობრივი გაანგარიშებით დაეცემა არანაკლებ 5 პროცენტიანი დონისა. ამ დაბრკოლების გადალახვა ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის იმისათვის, რომ შემდგომ პერიოდებში უზრუნველყოფილი იყოს ამ მაჩვენებლის შენარჩუნება დონეზე, რომელიც არ გადააჭარბებს 5 პროცენტიან მიჯნას.

ამგვარად სავალუტო კორიდორმა შეასრულა ნომინალური ღუზის როლი ინფლაციისა. ამასთან, ფიქსირებული კურსისაგან განსხვავებით სავალუტო კორიდორის მოქნილობა საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული სავალუტო კურსის ცვალებადობის დადგენილი საზღვრების "სიმტკიცეზე შემოწმების" ფსიქოლოგიური რეაქცია ან მასშტაბური სპეკულაციის გზით ან ეროვნულის ან უცხოური ვალუტის საპირისპიროდ.

კურსის კორიდორის რეჟიმმა საშუალება შექმნა დღის წესრიგიდან მოეხსნათ ნაკლებეფექტური ბრძოლა ფულადი ბაზის აბსოლუტური ზრდით. მთლიანობაში, ახალი კურსობრივი მექანიზმი სხვაგვარად ავითარებს ფულადი პროგრამის დებულებას 1995 წლისათვის.

მთავრობის პროგნოზირების მიხედვით, 1996 წელს მოსალოდნელია ინფლაციური პროცესების სტაბილიზაცია თვეში 2 პროცენტის დონეზე (ან 27 პროცენტისა წლიური გაანგარიშებით). მოცემულ პირობებში რუბლის კურსის დინამიკის მიახლოება 1995 წლის IV კვარტალში – და 1996 წლის 1 კვარტალში ინფლაციის ტემპთან ყველაზე უფრო რაციონალური ჩანს.

### გამოცხადდა ღია აუქციონი ნავთობის კომპანია "იუკოს"-ის აქციათა პაკეტების გაყიდვაზე

ოფიციალურად გამოცხადდა ღია აუქციონის ჩატარება ნავთობის კომპანია იუკოს-ის აქციათა პაკეტების გაყიდვაზე, რომელიც ფედერალური საკუთრებაა. გასაყიდად გამოტანილი

(გაგრძელება მე-9 გვ.)

# ინფორმაცია

# თვალსაჩინო შედეგები ანუ

## მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

**საქართველოში უკვე პრივატიზებულია 6300-ზე მეტი ობიექტი; აქციონირებულია 840-ზე მეტი საშუალო და მსხვილი საწარმო; ჯანდაცვის ობიექტი დამტკიცებულია საპრივატიზებო, მაგრამ ობიექტი... არ არსებობს. ჭიანურდება მცირე ჰესების პრივატიზება; სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ზოგიერთი ობიექტი ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადაეცეთ.**

რესპუბლიკის მრავალი მოქალაქე სრულიად სამართლიანად თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, მისი კეთილდღეობა სახელმწიფო ქონების პრივატიზებას უკავშირდება. ამას აღიარებენ არა მარტო ოპტიმისტები, არამედ ისინიც, ვისაც კი ვითარების რეალურად შეფასების უნარი აქვთ. დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა – ხალხმა გაიცნობიერა მიმდინარე პროცესის პროგრესულობა, მისი კეთილსაიმედოობა. ამიტომ პრივატიზებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

დღეისათვის პრივატიზებულია 6300-ზე მეტი ობიექტი. აქციონირებულია 840-ზე მეტი საშუალო და მსხვილი საწარმო, მიმდინარეობს ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზება, ეს პროცესი დაიწყო პურპროდუქტების სისტემაშიც. ამაზე ხაზგასმით ითქვა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე.

ფაქტები აშკარად მეტყველებენ, რომ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაგრამ ბევრი ურწმუნო პოზიტიურ მოვლენებშიც ნეგატიური მხარეების აღმოჩენას ცდილობს. ცალკეულ საგაზეთო პუბლიკაციაში შეუმოწმებელ ფაქტებზე დაყრდნობით პრივატიზების მაკომპრომეტირებელი მასალები ქვეყნდება, თუმცა ამას პროცესისათვის ხელის შეშლა უკვე აღარ შეუძლია.

საბედნიეროდ, არც მოსახლეობა აჰყვა პრივატიზების შეჩერების ცდებს. პრივატიზების ტემპი დღითიდღე მატულობს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია თვლის, რომ საქართველოში საკუთრების ტრანსფორმაციის პროცესი დამაკმაყოფილებელი ტემპებით ხორციელდება. ეს ის შეფასებაა, რომელსაც შეიძლება ენდო, დაეყრდნო.

პრივატიზება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხორციელდება. ამიტომ ამ პროცესის უმთავრესი შემფასებელიც ხალხია. სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ პრივატიზება ხელს შეუწყობს ქვეყანაში საკუთრების სხვადასხვა ფორმის დამკვიდრებას, დააჩქარებს "ძველი" ფსიქოლოგიის მსხვრევას, შექმნის ინიციატივიან ადამიანთა ფენას, რომელიც სახელმწიფოსაგან კი არ მოითხოვს რჩენას, არამედ საკუთარი შრომისა და უნარის მიხედვით იცხოვრებს. გამოკითხულთა უმრავლესობა პრივატიზებას ქვეყნის სტაბილიზაციის წყაროდაც თვლის, რადგანაც კერძო საწარმოს მესაკუთრე, მეწილე ყოველთვის იქნება დაინტერესებული ცხოვრების მშვიდი და წყნარი ფონით, დისციპლინითა და წესრიგით.

პრივატიზების დაწყებიდან განვლილ პერიოდში ჩატარებულია სერიოზული მუშაობა. პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულება პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების შესახებ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს. 1994 წლის 29 მაისამდე პრივატიზებულ იქნა 1640 ობიექტი, დღეისათვის კი ეს რიცხვი შეადგენს 6326-ს. 1994 წლის 29 მაისისათვის დაფუძნებული იყო მხოლოდ 46 სააქციო საზოგადოება. დღეისათვის რეგისტრირებულია 840-ზე მეტი ასეთი საზოგადოება.

1995 წლის 30 ნოემბრისათვის პრივატიზებული 6326 ობიექტიდან აუქციონით გაყიდულია 1360 ობიექტი (21,5%), კონკურსით – 1297 (20,5%), პირდაპირი მიყიდვის წესით – 1655 (41,9%), იჯარა – გამოსყიდვით – 191 (3,1%), ლიკვიდირებულია – 823 (13,0%).

პრივატიზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში თანაბარი ტემპით არ მიმდინარეობს. კარგი მაჩვენებლებია წყალტუბოში, სადაც 146 ობიექტიდან პრივატიზებულია 161 (109,5%), ხონში – 38 ობიექტიდან პრივატიზებულია 42 (108,7%), ლენტეხში – 22 ობიექტიდან 29 (107,4%), კასპში – 58 ობიექტიდან – 65 (103,1%), ხარაგაულში – 39 ობიექტიდან – 40 (101,1%), ხაშურში – 152 ობიექტიდან – 151 (99,4%), ჩხოროწყუში – 39 ობიექტიდან – 39 (100%), ზესტაფონში – 240 ობიექტიდან – 257 (105,9%), მარტვილში – 34 ობიექტიდან – 33 (94,4%), სენაკში – 200 ობიექტიდან – 192 (94,8%), ჩოხატაურში – 35 ობიექტიდან – 33 (94,3%).

შედარებით დაბალი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზება ზოგ ქალაქსა და რაიონში. მაგალითად, ქუთაისში საპრივატიზებოდ დამტკიცებულ 471 ობიექტიდან დღეისათვის პრივატიზებულია 222 ობიექტიც (46,6%), თბილისში – 7 (32%), ახალგორში 14 ობიექტიდან 8 (57,1%), ბორჯომში 115 ობიექტიდან – 57 (47,8%), დმანისში 13 ობიექტიდან – 1 (7,1%), ნინოწმინდაში 14 – 8 (52,5%), ცაგერში 11-დან 6 (53,6%), ვანში 51-დან – 34 (67%), საჩხერეში – 53 ობიექტიდან – 9 (15,6%), ყაზბეგში 24 ობიექტიდან – 2 (8,3%), თერჯოლაში 107-დან 57 (53,6%), მარნეულში 53-დან – 40 (74,4%), საგარეჯოში 95-დან 64 (67,3%), წალენჯიხაში –

1995 წლის 28 სექტემბრის კოლეგიის № 44.01 დადგენილების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა მარნეულის რაიონში, სადაც 53 ობიექტიდან პრივატიზებულია 40 (75,5%), ნინოწმინდის რაიონში – 14 ობიექტიდან – 8 (57,2%), დუშეთის რაიონში – 60 ობიექტიდან – 44 (73,3%), სიღნაღის რაიონში – 94 ობიექტიდან – 66 (70,2%), წალკის რაიონში – 24 ობიექტიდან – 16 (66,7%).

პრივატიზების პროცესი დაიწყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. უკვე ორი ობიექტი გაიყიდა აუქციონზე, დაიწყო მსხვილი საწარმოების აქციონირებაც.

პრივატიზებული ობიექტებიდან სავაჭრო სისტემას ეკუთვნის 2662, საყოფაცხოვრებო მომსახურებას – 12189, მრეწველობას – 171, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას – 183, მშენებლობას – 187.

სულ რესპუბლიკაში საპრივატიზებოდ დამტკიცებული 9173 ობიექტიდან პრივატიზებულია 63,2%.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზება. კარგი მაჩვენებლებია ამ მხრივ ზესტაფონის (13-13), თეთრიწყაროს (5-5), ლანჩხუთის (9-9), მცხეთის (7-7), სიღნაღის (16-16), ხაშურის (8-8), რაიონებში, სადაც ეს პროცესი უკვე დამთავრდა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ რაიონში არ არსებობენ საპრივატიზებოდ დამტკიცებული ობიექტები. მაგალითად, წყალტუბოს ზონაში საპრივატიზებოდ დამტკიცებულია 16 ობიექტი, რომელთაგან 12 პრივატიზებულია, ხოლო 4 არ არსებობს. დუშეთში დამტკიცებულია 5, პრივატიზებულია 3, 1 არ არსებობს, ჩხოროწყუში დამტკიცებულია 7, პრივატიზებულია 5, ორი არ არსებობს, ხობის რაიონში დამტკიცებულია 7, პრივატიზებულია 3, ორი არ არსებობს, ხონის რაიონში დამტკიცებულია 8, პრივატიზებულია 6, ორი არ არსებობს. როგორ ხდება ეს, ამაზე მომდევნო ნომრებში შევეცდებით პასუხის გაცემას.

ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზება არ დაწყებულა თბილისში, ქუთაისში, ახალგორის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, ვანის, ლენტეხის, მესტიის, ნინოწმინდის, ოზურგეთის, ონის, ქარელის, ყაზბეგის, წალკის რაიონებში.

იმ 1138 საწარმოდან, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას, დღეისათვის დაფუძნებული და რეგისტრირებულია 840 სააქციო საზოგადოება (72,5%).

მრეწველობის დარგში აუქციონირებას დაქვემდებარებული 146 ობიექტიდან დღეისათვის დაფუძნებული და რეგისტრირებულია 140 (95,5%), სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის 392 ობიექტიდან დღეისათვის დაფუძნებული და რეგისტრირებულია 271 (69,1%), არქიტექტურისა და მშენებლობის 213 ობიექტიდან – 189 (83,7%), ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების 60 ობიექტიდან – 59 (98,3%), ტრანსპორტის დეპარტამენტის 110 ობიექტიდან 89 (80,9%).

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1995 წლის 16 მაისის № 1-3/488 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს აპარატის განყოფილებებს დაევალათ, უზრუნველყოთ ობიექტის პრივატიზება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 2 ნოემბრის № 776 დადგენილების თანახმად ა/წ იანვრიდან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ტარდებოდა სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა ატესტაცია. ატესტაცია ჩაუტარდათ 58 ტერიტორიულ განყოფილების თანამშრომლებს. 20 ტერიტორიულ განყოფილებას უნდა გაევლო განმეორებითი ატესტაცია მ/წ სექტემბრის თვეში, თანახმად სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 19 ივნისის (№ 28.04.704) დადგენილების მე-6 მუხლისა. განმეორებით ატესტაცია გაიარა შვიდმა ტერიტორიულმა ორგანომ, ხოლო ცამეტი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ ატესტაციაზე. კერძოდ: ამბროლაური (ა. კობახიძე), ახალქალაქი (ა. ეხოიანი), გორი (ა. მიდელაშვილი), გურჯაანი, თერჯოლა, (ვ. იამანიძე), თიანეთი (ვ.გოდერძიშვილი, ლ.რაზიკაშვილი), (გ. ცალუღელაშვილი, ნ. ჯამარაული), ქარელი (დ. ანანიაძისი), ცაგერი (ტ.კოპალიანი), ჩოხატაური (ი.სიხარულიძე, თ. ბენდელიანი), ხონი (კ. მენაბდე).

აფხაზეთის, აჭარის ქონების მართვის სამინისტროებმა და თბილისის ქონების მართვის მთავარმა სამმართველომ დამოუკიდებლად, გაიარეს ატესტაცია, თანახმად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 29 დეკემბრის (№ 1-3/319) ბრძანების მე-2 მუხლისა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების მუშაკთა ატესტაციის ჩატარების შესახებ მიღებულ იქნა ინფორმაცია, ხოლო ქ.თბილისის მთავარ სამმართველოს ინფორმაცია დღემდე არ წარმოუდგენია.

დღეისათვის რესპუბლიკაში ჩატარებულია 20 საბარათო აუქციონი, შეჯამებულია 16 აუქციონის შედეგები. სულ გამოტანილი იყო 532 საწარმოს 51 183 829 ცალი აქცია, ამათგან გაიყიდა 20 607 733 ცალი აქცია.

გაყიდვის ყველაზე მაღალი პროცენტი (58%) იყო მეორე აუქციონზე, ხოლო ყველაზე დაბალი (21,59%) – მეთერთმეტე აუქციონზე.

აუქციონის კურსის მიხედვით საწარმოები შემდეგნაირად განაწილდა:

1-დან – 15-მდე – 23 საწარმო.
16-დან – 30-მდე – 43 საწარმო.
31-დან – 45-მდე – 10 საწარმო.

საპრივატიზებო წარმოების მიმართ სააქციო საზოგადოების აქციათა სხვადასხვა კურსის ჩამოყალიბება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. მაგალითად, სპეციალიზებულ საბარათო აუქციონზე, გამოტანილ საწარმოთა პრესტიჟულობით, სიცოცხლისუნარიანობით, საწარმოს სიდიდით, გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობით, ტექნიკური აღჭურვის დონით, საწარმოში მომუშავე სპეციალისტთა და მენეჯერთა კვალიფიკაციით, მოქალაქეთა აქტიურობითა და სხვა.

აუქციონებში მონაწილეობა მიიღო 8 საინვესტიციო ფონდმა, ესენია: "ინდუსტრია-ინვესტია", "ვაუჩერდიდურინვესტი", "ქართული კაპიტალი", "მთავარინვესტი", "ცენტრალური საინვესტიციო კომპანია", "იმედი", "ჯორჯიანტრანზოილინვესტი" და "დოკატო-ნავთობ-ინვესტი".

პირველი აუქციონების შედეგები ამართლებენ ადრე გამოთქმულ პროგნოზებს იმის თაობაზე, რომ წააგებს ის, ვინც ვაუჩერს "შავ" ბაზარზე "ჩალის ფასად" 5-6 აშშ დოლარად გაყიდის და მოიგებს ის, ვინც ამ ვაუჩერებით აუქციონებზე შეიძენს სახელმწიფო ქონებას.

ახალი წლიდან ხელმეორედ სპეციალიზირებულ საბარათო და ჩვეულებრივ აუქციონებსა და ტენდერებზე დაიწყება იმ სააქციო საზოგადოებების აქციების პრივატიზება, რომელთა აქციებიც არ იქნა რეალიზებული. ეს საკმაოდ დიდი მოცულობის სახელმწიფო ქონება იქნება. ამით მოსახლეობას კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება, გამოიყენოს საპრივატიზებო ბარათი სააქციო საზოგადოებათა აქციების შესაძენად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბარათო აუქციონზე დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სააქციო საზოგადოებათა აქციების გატანა, რაც მიუთითებს ამ რეგიონში პრივატიზაციის პროცესის რეალურად დაწყებაზე.

არსებული ვითარების ანალიზი მოწმობს, რომ პრივატიზებულ საწარმოთა 60-65% მუშაობს, საწყის ეტაპზე ეს არც თუ ურიგო მაჩვენებელია, მაგრამ მათი ეფექტურობის განსაზღვრისათვის მარტო ეს არ კმარა. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, როგორია მათი ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლებში. ამის შესახებ კი ინფორმაცია დროულად უნდა გასცენ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა და საგადასახადო ინსპექციამ.

1995 წლის 25 ნოემბრისათვის უკვე 3 მლნ-ზე მეტმა ადამიანმა აიღო საპრივატიზებო ბარათი. ეს იმას ნიშნავს, რომ დარიგების და გავრცელების პროცესი შედგა. ახლა მნიშვნელოვანია დარიგებული ვაუჩერების უმრავლესობის მიმოქცევიდან ამოღება. დღეისათვის უკვე გამოყენებულია 1 მლნ-მდე ვაუჩერი, ანუ დარიგებული ვაუჩერების 33 %.

როგორც ცნობილია, საქართველოში პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს მსოფლიო ბანკისა და, ევროგაერთიანების კონსულტანტებთან მჭიდრო კავშირში. დღეისათვის საქართველოში მუშაობს მსოფლიო ბანკის ორი პროექტი: 1. მასობრივი პრივატიზაციის პროექტი, 2. პრივატიზაციის პროცესის საინფორმაციო-პროპაგანდისტული უზრუნველყოფის პროექტი (TAKIS) და ევროგაერთიანების პრივატიზაციის პროექტი.

მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან ერთობლივი მუშაობით სპეციალური პროგამით შეირჩა 15 მსხვილი საწარმო, რომელთა პრივატიზაცია განხორციელდა საერთაშორისო ტენდერის ჩატარებით. მასში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი ინვესტორები. ანალოგიურ პროგრამაზე მუშაობს აგრეთვე ევროგაერთიანების პრივატიზაციის პროექტი, სადაც უკვე შერჩეულია 23 მსხვილი საწარმო საერთაშორისო ტენდერზე გასატანად.

საზოგადოების თითქმის ყველა ფენა დღეს ქვეყნის გადარჩენას, ხსნას უცხოური ინვესტიციების დაბანდებას უკავშირებს. ქვეყანაში საამისო პირობები იქმნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზების პროცესში გაწეული სამუშაოების სწრაფი ტემპისა და მნიშვნელოვანი შედეგების არსებობამ გარკვეულწილად განაპირობა მსოფლიო ბანკის მიერ სარეაბილიტაციო კრედიტის – 75 მლნ აშშ დოლარის გამოყოფა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის.

პოსტპრივატიზების შემდეგი ეტაპი სულ სხვანაირ დამოკიდებულებას სხვანაირ მიდგომას ითხოვს. ახლა დღის წესრიგში დგას პრივატიზებული საწარმოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების პრობლემები. პრივატიზებული საწარმოები აღმოჩნდნენ იმის აუცილებლობის წინაშე, რომ რადიკალურად გარდაქმნან თავიანთი სტრუქტურა, მოახდინონ შინაგანი რეორგანიზაცია, გააუმჯობესონ მდგომარეობა, აითვისონ ახალი პროდუქცია, შეისწავლონ ბა-

(დასასრული მე-4 გვ.)

# თვალსაჩინო შედეგები ანუ

## მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

(დასასრული)

ზრის კონიუნქტურა და მარკეტინგი. ზოგიერთები მხოლოდ ზედაპირულად აფასებენ მიმდინარე პროცესებს და გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ საშველი არ ადგება საწარმოთა ამოქმედებას, მაშინ, როდესაც აქციები ასეთი მაღალი ტემპით იყიდება. აქ აუცილებელია ითქვას, რომ წარმოების ამოქმედებას გარკვეული დრო სჭირდება. უნდა შეიცვალოს საწარმოთა სტრუქტურა, დროის, მოთხოვნილებათა შესაბამისად უნდა განახლდეს ტექნოლოგიური პროცესები. თვისებრივი ცვლილება კი გარკვეული ეტაპის გასვლას მოითხოვს, რაც მთავარია, პრივატიზებულ ობიექტს ახალი სიცოცხლის დასაწყებად თანხები ჭირდება. ამიტომ საწარმოს უწინარესად ბანკებმა უნდა შეუქმნან სამუშაო პირობები. კერძო ბანკებსა და ახალი ტიპის (ხელმძღვანელებს) მენეჯერებს შორის ურთიერთობათა დამყარება-განმტკიცებას დრო სჭირდება. ახალ მესაკუთრეს შეღავათიანი სესხის აღება სურს, ბანკი კი დაინტერესებულია მეტი მოგებით. ეს აძნელებს მუშაობას, ამიტომ საწარმოს ბატონ-პატრონის უფლების მოპოვება ჯერ კიდევ გამარჯვებას არ ნიშნავს. ნიჭიერი, ინიციატივიანი მუშაობა მერე უფრო საჭიროა.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებას მრავალი დაბრკოლება ელობება, ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. კერძოდ: – მაქსიმალური ყურადღება ცნდა დაეთმოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (გამგეობები, მერიები) მიერ დამტკიცებული მცირე ობიექტის პრივატიზაციის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას იმის გათვალისწინებით, რომ მცირე ობიექტების პრივატიზება დამთავრდეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს პრივატიზების პროცესი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. როგორც გაზეთის წინა ნომრებშიც ვწერდით, ფაქტიურად ნადგურდება და იძარცვება ამ დარგის მცირე ობიექტები და ეს ხდება იმ დროს, როცა ზემოაღნიშნული სამინისტრო ხშირად უარს აცხადებს მის დაქვემდებარებაში მყოფი ასეთი ობიექტების საპრივატიზებო სიებში ჩართვაზე. ალბათ, მიზანშეწონილია, რომ ასეთი ობიექტები გადაეცეს ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარებაში და მათ მიერ იქნას გადაწყვეტილი მათი პრივატიზების პრობლემა.

სერიოზული პრობლემებია ენერგოსისტემის აქციონირებაში. სამინისტროში შემოსულია ძალზე ბევრი მოსაზრება და თხოვნა პესების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის თაობაზე, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება და ფერხდება. ალბათ მიზანშეწონილია ენერგოსისტემას დაქვემდებარებული პესების ცალკე იურიდიულ პირებად ჩამოყალიბება, შემდეგ კი მათი სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, რაც ადგილობრივ მმართველობას და რაიონის მოსახლეობას ჭაუჩენს შემოსავლის გარკვეულ წყაროს.

– გარკვეული პრობლემებია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებაში, სადაც მაქსიმალურად საჭიროა უცხოელი კონსულტანტების დახმარება.

– ქონების მართვის სამინისტროს დახმარება სჭირდება, აგრეთვე საწარმოთა გაკოტრების მექანიზმის ჩამოყალიბების, მათი ლიკვიდაციის, აქტივების შეფასებისა და რეალიზაციის ღონისძიებათა შემუშავებაში.

– დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტურობის ამაღლების პრობლემებს, მათ რეორგანიზაციას, რესტრუქტურიზაციას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს საბაზრო ეონომიკის პირობებში მათ წარმატებულ ფუნქციონირებას.ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, აგრეთვე, კვალიფიცირებული კადრების მომზადება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. აქ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს. მათი დაინტერესება და პროცესში ჩარ...ეტად საშური საქმეა.

**ქონების მართვის სამინისტროში**

## დამტკიცდა მორიგ აუქციონებზე გასატანი ობიექტების ნუსხა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის სხვადასხვა სხდომებზე მიიღეს დადგენილება ოცდამეხუთე, ოცდამეექვსე, ოცდამეშვიდე, ოცდამერვე და ოცდამეცხრე სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე გასატან სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტების ნუსხების დამტკიცების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად დამტკიცდა იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების პრივატიზება გათვალისწინებულია №25, №26, №27, №28 და №29 სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე დადგენილი წესით.

რესპუბლიკის საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელ სააუქციონო ცენტრს (ე. ჯუღელი) დაევალა: უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხების შესახებ ინფორმაციის რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნება და განაცხადების მიღება ყველა პუნქტისათვის დროული მიწოდება: ჩაატაროს აუქციონები დადგენილ ვადებში არსებული წესების შესაბამისად.

### №25 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1995 წ. 20 დეკემბრიდან 1996 წლის 2 იანვრის 17 საათამდე.**

**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს გარდა მუქი ფერის ს/საზოგადოებების (№835) აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივიალენტურია**

აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 ცალი 1,46 აშშ დ. ან 65 ცალი 1 აშშ დ. ექვ. ნ/ღირებულების აქცია.

| № | აუქ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XXV | 69. "ჩარხმშენებელი" | 1045485 | 455000 | 43.52 | 665204.7 | 236-069 | თბილისი, თორნიკე ერისთავის 1 | ფ. მაუთიძე | |
| 2. | XXV | 77. "ფაიფური" (ზუგდიდის ფაიფურის ქ-ნა) | 438107 | 120000 | 27.39 | 175438.6 | 220-077 | ზუგდიდი, ახალგაზრდობის 1, ტ. 24445 | გ. სოხელია | 9.5 |
| 3. | XXV | 172. "ელექტრომექანიკოსი" (ქუთ. ელ. მ. ქ-ნა) | 2553090 | 938000 | 36.74 | 1371345 | 480-172 | ქუთაისი, გუგნავას 1 | ს. მურღულია | 12.5 |
| 4. | XXV | 315. "მარსი" (ზესტ. შორაპ. "ელექტროელ-ს" ქ.) | 554271 | 250000 | 45.1 | 365497.1 | 210-315 | ზესტაფონი, დაბა შორაპანი, ტ. 52543, 52384 | თ. პაკოჩაშვილი | |
| 5. | XXV | 319. "ავტოტრანსი" (ახალციხ. ავტოსატრ. საწ.) | 251550 | 110000 | 43.73 | 160818.7 | 080-319 | ახალციხე, 9 აპრილის 166 ტ. 20263 | პ. თუმანიშვილი | 5 |
| 6. | XXV | 388. "ლაინი" (გორ. ბამბ.საფეიქრ. სამკ. საწ. გ-ბა) | 3104905 | 1054000 | 33.95 | 1540936 | 150-388 | გორი, მოსკოვის 1 ტ. 23767 | შ. ნიჟარაძე | |
| 7. | XXV | 399. "ინგირის ჩაის აგრესამრეწვ. კომბინატი" | 294796 | 129000 | 43.76 | 188596.5 | 220-399 | ზუგდიდი, სოფ. ინგირი | გ. აფაქიძე | 756 |
| 8. | XXV | 450. "თბილხორცი" (თბილ. ხორცგადამამუშ. ქ-ნა) | 783541 | 38000 | 48.5 | 555555.6 | 233-450 | თბილისი, მოსკოვის გამზ. 25 | რ. ანთაძე | 3.7 |
| 9. | XXV | 455. "თბილხელსაწყო" (თბ. ქ-ნა "თბიხელს.") | 383269 | 175000 | 45.66 | 255848 | 238-455 | თბილისი, მოსკოვის გამზ. 24 ა. ტ. 715254 | თ. ბეჟანიშვილი | |
| 10. | XXV | 485 "ინგირის ჩაის ფაბრიკა" (ზუგდ.) | 63998 | 26000 | 40.63 | 38011.7 | 220-485 | ზუგდიდი, სოფ. ინგირი, ტ. 23397 | დ. იზორია | |
| 11. | XXV | 526. "ავტომოტოსერვისი" (რ.ს.გ. "საქავტ. მ. სერ.") | 119329 | [illegible] | 43.58 | 76023.39 | 231-526 | თამარ მეფის 14 | ვ. ქლენტი | 1.7 |
| 12. | XXV | 626. "დეზებიანი მამლები" (საჩხერ. მეფრ. ფ-კა) | 157940 | 76000 | 48.12 | 111111.1 | 420-626 | საჩხერის რ-ნი. სოფ. სავანე | | 50 |
| 13. | XXV | 653. "აგროტექსერვისი" (გორ. რაიონ. გ-ბა) | 210611 | 93000 | 44.16 | 135964.9 | 150-653 | გორი, ცხინვალის გზატკ. მე-3 კმ. | ჯ. ჯინიყაშვილი | 8.5 |
| 14. | XXV | 735. "თბილავტოსერვისი" (საკვ. ა\კომბ, თქვაჭრობტრან.) | 325229 | 129000 | 39.66 | 188596.5 | 234-735 | ფონიჭალა, მარნეულის 39, ტ. 938902 | ნ. შურღაია | 5.56 |
| 15. | XXV | 789. "ოზურგეთის №2 ჩაის ფაბრიკა" | 82964 | 34000 | 40.98 | 49707.6 | 370-789 | ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის 146 | კ. მჟავია | 5 |
| 16. | XXV | 794. "ნაგომრის ჩაის ფაბრიკა" (ოზურგ.) | 107920 | 49000 | 45.4 | 71637.43 | 370-794 | ოზურგეთი, სოფ. ნაგომარი | ო. თავართქილაძე | 6.3 |
| 17. | XXV | 796. "მერიის ჩაის ფაბრიკა" (ოზურგ.) | 40375 | 18000 | 44.58 | 26315.79 | 370-796 | ოზურგეთი, სოფ. მერია | დ. დარჩია | 1.5 |
| 18. | XXV | 806. "ჩხოროწყუპესი" (ჩხორ. ელექტრ. ენერგ. საექსპლ. საწ.) | 121872 | 58000 | 47.59 | 84795.32 | 550-806 | ჩხოროწყუ. კოსტავას 3, ტ. 21330 | ბ. მამფორია | 4.2 |
| 19. | XXV | 827. "აგროტექსერვისი" (ახალციხ. მანქ. ტრაქტ. ს. ქ.) | 61824 | 29000 | 46.91 | 42397.66 | 080-827 | ახალციხე, ახალქალაქის გზატკ. | ზ. ხუციშვილი | |
| 20. | XXV | 829. "გარდაბანავტოტრანსი" | 80439 | 31000 | 38.54 | 45321.64 | 140-829 | გარდაბანი, აღმაშენებლის გამზ. 1 | დ. ხოფერია | 3.2 |
| 21. | XXV | 835. "მაციევარკომბინატი" ("აჭარბითუმეაჭრობის" მკ.) | 183384 | 89000 | 48.53 | 89000 | 053-835 | ბათუმი, მელიქიშვილის 127, ტ. 39523 | ა. ჯაში | 1.22 |
| | | სულ: | 10964899 | 4295000 | | 6238123 | | | | 873.88 |

## №26 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1995 წ. 27 დეკემბრიდან 1996 წლის 9 იანვრის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვ. ვალუტაში**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | ჯგუ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | VI | 2. "ორიონი" (საქავტომრეწვე-რუსთავი) | 1250461 | 371000 | 29.67 | 542397.7 | 390-002 | რუსთავი, ფიროსმანის 15, ტ. 982275 | გ. ბრაგვაძე | 25.12 |
| 2. | II | 4. "სასტუმრო აჭარა" | 716169 | 236000 | 32.95 | 345029.2 | 237-004 | თბილისი, 26 მაისის სახ. მოედანი | მ. ლოლაძე | 0.72 |
| 3. | I | 5. "ჩარხი-ხაზი" (სპ. ჩარხ. და ავტ. ხაზ. ქ-ნა) | 166772 | 32000 | 19.19 | 46783.63 | 236-005 | თბილისი, თორნიკე ერისთავის 1, ტ.664290 | ა. მოსიძე | 2.12 |
| 4. | III | 6. "ეკრანი" (თბ. ტელევიზორების ქ-ნა) | 1547[illegible]62 | 740000 | 47.81 | 1081871 | 434-006 | თბილისი, დიდი ხეივნის 3, ტ. 721040,72342 | ლ. ასათიანი | 6.96 |
| 5. | VI | 7. "ქუთაისის ავეჯი დეტალი" | 243928 | 114000 | 46.74 | 16666.7 | 480-007 | ქუთაისი, 9 აპრილის 9 | მ. კუპრაშვილი | 4.04 |
| 6. | I | 9. "დუზანი" (ვაჭრ. სამინ. ავტოსაწარმო) | 240210 | 87000 | 36.22 | 127193 | 238-009 | თბილისი, ლილო, იუმაშევის 21, ტ. 414011 | ბ. დარჯანია | 4.99 |
| 7. | XIII | 13. "კოდარა" (ხონი "პოლიმერკონტეინერი") | 530045 | 189000 | 35.66 | 276315.8 | 620-013 | ხონი, მოსე ხონელის 186 | ვ. კაკაბაძე | 11 |
| 8. | V | 15. "ფენიქსი-2" (ავტოკოლონა 2651) | 114042 | 52000 | 45.6 | 76023.39 | 233-015 | თბილისი, ლადიძის 7, ტ. 730460, 731806 | ვ. ჩხეიძე | 1.3 |
| 9. | II | 16. "განთიადი" (საავეჯო საწ. გ-ბა) | 432511 | 67000 | 15.49 | 97953.22 | 248-016 | თბილისი, ქინძმარაულის 5 | გ. ცანავა | 12.23 |
| 10. | VII | 23. "ტყავფეხსაცმელების კ-ტი" (ქუთ.) | 478600 | 193000 | 40.33 | 282163.7 | 480-023 | ქუთაისი, ჭავჭავაძის 2, ტ. 32648 | მ. ასამბიანი | 4.5 |
| 11. | IV | 26. "საჩინო" (ზეინდრის სკფ) | 183982 | 89000 | 48.37 | 130117 | 200-026 | ვანის რ-ნი, სოფ. ზეინდარი | ს. ადეიშვილი | 2.54 |
| 12. | XII | 28. "სულორი" (ვანის ელ. მექანიკური ქ-ნა) | 281708 | 127000 | 45.08 | 185672.5 | 200-028 | ვანი, გ. ტაბიძის 35, ტ. 22883 | ა. კიკნაძე | 5.7 |
| 13. | II | 29. "ტრანსმშენი" | 722027 | 304000 | 42.1 | 444444.4 | 237-029 | თბილისი, დოლიძის 2 | ლ. მეტრეველიშვილი | |
| 14. | III | 31. "ქუთაისის ბამბის საქსოვი ფ-კა" | 205027 | 45000 | 21.95 | 65789.47 | 480-031 | ქუთაისი, გუგუნავას 7, ტ.63364 | ზ. ჩომახიძე | 11 |
| 15. | II | 32. "ქუთაისის ლითოფონის ქარხანა" | 901241 | 322000 | 35.73 | 470760.2 | 480-032 | ქუთაისი, წერეთლის 192, ტ. 33538 | ვ. მანჯგალაძე | 42 |
| 16. | I | 33. "მინის ტარის ქარხანა" (ქუთ.) | 199654 | 76000 | 38.07 | 111111.1 | 480-033 | ქუთაისი, ლ. ასათიანის 98, ტ. 33742 | მ. შეყლაშვილი | 5.2 |
| 17. | I | 36. "ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა" | 233520 | 71000 | 30.4 | 103801.2 | 480-036 | ქუთაისი, ნიკეას 18. ტ. 33890 | რ. ჯინჯოლია | 4 |
| 18. | IV | 37. "სამთოქიმმშენი" | 493328 | 180000 | 36.49 | 263157.9 | 231-037 | თბილისი, წერეთლის 142, ტ. 340047, 34075 | ჯ. დანგაძე | 7.4 |
| 19. | XIV | 40. "ექსკავაცია" (საქქალაქმშენის სფ.) | 114275 | 50000 | 43.75 | 73099.42 | 237-040 | თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის 17 | თ. გვამბერიძე | 1.8 |
| 20. | VII | 41. "ინდუსტრია-21" (ავეჯმშენის დამხმ. საწ.) | 230261 | 108000 | 46.9 | 157894.7 | 236-041 | თბილისი, ქინძმარაულის 15 | | 2.84 |
| 21. | II | 43. "საქმშენელექტრო" (ვაჭრ. სამინისტრო) | 471923 | 176000 | 37.29 | 257309.9 | 238-043 | თბილისი, იუმაშევის 18 | ა. მენთეშაშვილი | 10.7 |
| 22. | V | 44. "კასპიელექტროაპარატი" | 243690 | 63000 | 25.85 | 92105.26 | 280-044 | კასპი, სტალინის 4. | უ. მოსიაშვილი | 11 |
| 23. | I | 46. "თბილმელანჟე" (მელანჟის ქ-ნა) | 104842 | 39000 | 37.2 | 57017.54 | 238-046 | თბილისი, ლილო, ჭირნახულის 4, ტ. 410035 | შ. ქუტიძე | 3.7 |
| | სულ | | 10105878 | 3731000 | | 5454678 | | | | 170.96 |

## №27 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1996 წ. 3 იანვრიდან 16 იანრის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვ. ვალუტაში**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | ჯგუ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | VI | 47. "ელექტროიზოლიტი" (თბ. ელ. საიზ. მას. ქ.) | 278840 | 98000 | 35.15 | 143274.9 | 236-047 | თბილისი, ქსნის 35. ტ.615593 | თ. ტყავაძე | 3.1 |
| 2. | IX | 51. "ლილო" (თბ. სასოფ. სამეურნ. მანქ. მშენ. ქ-ნა) | 1377966 | 550000 | 39.91 | 804093.6 | 238-051 | თბილისი, ლილო, ჭირნახულის 9, ტ. 4135074 | თ. სტურუა | 18.96 |
| 3. | V | 52. "თეთრი გედი" (ტყიბულის სამკერვ. ფ-კა) | 86076 | 30200 | 35.09 | 44152.05 | 450-052 | ტყიბული, ტყვარჩელის 12, ტ. 22417 | ო. ცნობილაძე | 0.86 |
| 4. | III | 55. "კოლხური აბრეშუმი" (ქუთ) | 1515818 | 639000 | 42.16 | 934210.5 | 480-055 | ქუთაისი, წერეთლის 186. ტ. 32631 | ო. სეინტრაძე | 17 |
| 5. | II | 57. "საქტარა" | 196057 | 74000 | 37.74 | 108187.1 | 232-057 | თბილისი, ალ. ყაზბეგის 42, ტ. 383120 | ე. ლომინაძე | 9.8 |
| 6. | VI | 59. "ბიზნეს ცენტრი – სასტუმრო "რუსთავი" | 516258 | 247000 | 47.84 | 361111.1 | 390-059 | რუსთავი, მეგობრობის გ.32 | ვ. კაჭახიძე | 0.75 |
| 7. | VII | 61. "აფენის ღვინის ქარხანა" | 270000 | 131000 | 48.52 | 191520.5 | 290-061 | ლაგოდეხი, სოფ. აფენი | | 7 |
| 8. | I | 64. "მერკური-92" (მაციერები) | 394400 | 186000 | 47.16 | 271929.8 | 231-064 | თბილისი, თევდორე მღვდლის 27. ტ. 340959 | თ. ზამთარაძე | 2.5 |
| 9. | XI | 65. "აგარის საკონსერვო ქ-ნა" | 552800 | 262000 | 47.4 | 383040.9 | 470-065 | ქარელის რ-ნი, დაბა აგარა | | |
| 10. | XI | 70. "ფეიქარი" (ხონის აბრეშ. ძაფსალ. საგრ. ფ) | 111528 | 25000 | 22.42 | 36549.71 | 620-070 | ხონი, გამარჯვების 58, ტ. 22565 | ზ. ჭანტურიშვილი | 1 |
| 11. | XI | 71. "ამირანი" (ხონის საკონსერვო ქ-ნა) | 98947 | 43000 | 43.46 | 62865.5 | 620-071 | ხონი, წულუკიძის 7, ტ. 21439 | ა. რუხაძე | 1.2 |
| 12. | XI | 72. "კოლხეთი (ხონის ჩაის № 2 ფკ-ა) | 221432 | 107000 | 48.32 | 156432.7 | 620-072 | ხონი, დავით აღმაშენებლის 118 | გ. სანოძე | 3.2 |
| 13. | XI | 73. "იმერეთი" (ხონის ჩაის კ-ტი) | 115756 | 54000 | 46.65 | 78947.37 | 620-073 | ხონი, ბაგრატიონის 81, ტ. 21385, 21000 | რ. შონვაძე | 3.5 |
| 14. | V | 75. "ქარელის საკონსერვო ქ-ნა" | 136452 | 64000 | 46.9 | 93567.25 | 470-075 | ქარელი, ჭავჭავაძის 19, ტ. 31717 | დ. დაბრუნდაშვილი | 2.68 |
| 15. | VII | 76. "ავტომობილი-3" (რუსთ. "3 სატვ. ასს) | 265984 | 124000 | 46.62 | 181286.5 | 390-076 | რუსთავი, მაზიაშვილის 4, ტ. 140306 | ო. ვაშაყმაძე | 5 |
| 16. | III | 78. "ცენტროლიტი" (თბ. ფოლ. თუჯ. სამსხმ.ქ.) | 903207 | 320000 | 35.43 | 467836.3 | 230-078 | თბილისი, ულიანოვის 29, ტ. 622578 | გ. გოგესაშვილი | 17 |
| 17. | I | 79. "ფარნავაზი" (ჭავჭავ. სახ. წიგნ. ფ-კა) | 299559 | 136000 | 45.4 | 198830.4 | 231-079 | თბილისი, რობაქიძის გამზ. 7. ტ. 511356 | ჯ. ხაჭაპურიძე | 1.5 |
| 18. | III | 83. "ელექტროავტომატი" | 294193 | 122000 | 41.47 | 178362.6 | 234-083 | თბილისი, გორგასლის 115 | მ. ბოლქვაძე | 3.7 |
| 19. | IV | 85. "დვრიტა" ("თბილრძე") | 534305 | 61000 | 11.42 | 89181729 | 238-085 | თბილისი, კახეთის გზატკეც. მე-10 კმ. | დ. დათოშვილი | 11 |
| 20. | IV | 87. "მუხნარი" (ქუთაისის ხორცკომბინატი) | 182088 | 85000 | 46.68 | 124269 | 480-087 | ქუთაისი, წერეთლის 282. ტ. 32143 | თ. სარიშვილი | 3.9 |
| 21. | I | 89. "უქსოვადი ქსოვილები" | 1081065 | 510000 | 47.18 | 745614 | 238-089 | თბილისი, ქინძმარაულის 15, ტ. 717524, 711610 | ნ. ხიზანიშვილი | 7,3 |
| 22. | III | 96. "გორგოტა" (ხაშურ. საფეიქრო-საგალ. ფ.) | 1635012 | 679000 | 41.53 | 992690.1 | 600-096 | ხაშური, ბორჯომის 2-ა, ტ. 20051, 21483 | გ. ბერაია | 8.36 |
| 23. | I | 100. "ლაინი" (თბ. სინთეზ ნაკეთობათა ფ-კა) | 38888 | 15000 | 38.57 | 21929.82 | 233-100 | თბილისი, ბოჭორმის 25, ტ. 74664, 7424469 | ა. ბახტაძე | 0.75 |
| | | სულ: | 11106631 | 4562200 | | 6669883 | | | | 130.06 |

## №28 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1996 წ. 10 იანვრიდან 23 იანვრის 17 საათამდე.**

1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივ-ს. აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 ცალი 1,46 აშშ დ. ან 65 ცალი 1 აშშ დ. ექვ. ნ/ღირებულების აქცია.

| № | აუქ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | IV | 102. "შენება" (ჩხოროწყუს №1 ჩაის ფ-კა) | 90774 | 39000 | 42.96 | 57017.54 | 550-102 | ჩხოროწყუ, სტალინის 3, შეს. 3. | ა. ვეკუა | 3.9 |
| 2. | XI | 103. "საამო" (ჩხოროწყუს №2 ჩაის ფ-კა) | 145280 | 67000 | 46.12 | 979553.22 | 550-103 | ჩხოროწყუ, ქებურიას 34, ტ. 22161, 22337 | ა. ლემონჯავა | 3 |
| 3. | VIII | 104. "იმედი" (ლესიჭინის ჩაის პ.გ.ფ-კა) | 65122 | 23000 | 35.32 | 33625.73 | 550-104 | ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე | | 5.2 |
| 4. | IV | 105. "ლაკადა" (ხაბუმის ჩაის ფ-კა) | 80224 | 28500 | 35.53 | 41666.67 | 550-105 | ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე | ჯ. შოგირაძე | 3 |
| 5. | XV | 106. "ექსტრა" (ჩხოროწყუს ჩაის ექსპ.კ-ტი) | 68514 | 28000 | 40.87 | 40935.67 | 550-106 | ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე | | 2 |
| 6. | III | 111. "ქუთაისის რძის კომბინატი" | 222948 | 48900 | 21.93 | 71491.23 | 480-111 | ქუთაისი, ნიკეას 16, ტ. 33345, 34080 | გ. ჯანელიძე | 2.7 |
| 7. | VIII | 112. "სუფსა" (ლანჩხუთის სუფსის ჩაის ფ-კა) | 38700 | 15000 | 38.76 | 21929.82 | 300-112 | ლანჩხუთი, სოფ. სუფსა | შ. ანდღულაძე | 3.4 |
| 8. | IX | 113. "საჯიჯაო" (ხობი, საჯიჯაოს ჩაის ფ.) | 96038 | 48000 | 49.98 | 70175.44 | 610-113 | ხობის რ-ნი, საჯიჯაო | თ. გულუა | |
| 9. | IV | 115. "ლითოგრაფი" (თეთრიწყ. ალგეთის მაღ-ს) | 25360 | 9600 | 37.85 | 14035.09 | 240-115 | თეთრიწყაროს რ-ნი, დას. მადანი | ნ. წიკლაური | 3 |
| 10. | XI | 116. "წინწყარო" (წინწყაროს საინსტრ. ქ-ნა) | 95072 | 33300 | 35.03 | 48684.21 | 240-116 | თეთრიწყაროს რ-ნი, ს. წინწყარო | ნ. ამურეელაშვილი | 2.2 |
| 11. | XI | 117. "მოწამეთა" (ქუთ, სამშ და არამაღნ. მას. კ-ტი) | 84426 | 38000 | 45.01 | 55555.56 | 480-117 | ქუთაისი, კლდიაშვილის 135 | თ. მეტრეველი | 3 |
| 12. | IV | 118. "იმაბელა" (ჩოხატაურის ღვინის ქ-ნა) | 84124 | 30000 | 35.66 | 43859.65 | 540-118 | ჩოხატაური, გურამიშვილის 2 | ზ. კალანდაძე | |
| 13. | IV | 122. "პროექტმშენი" (მკ-ის საპრ.სამრ. სამშ.გ.) | 426455 | 49400 | 11.58 | 72222.22 | 239-122 | თბილისი, ჩიტაიას 26, ტ. 96060, | ი. კირკიტაძე | 3.8 |
| 14. | IV | 123. "სოკო" (სოკოს წარმ. და გადამუშ. კ-ტი) | 346650 | 169000 | 48.75 | 247076 | 140-123 | გარდაბანი 4 რუსთ. თბილ. გზატკ. 17-ე კმ. | ი. ფანცხავა | 7 |
| 15. | XIV | 124. "კომ-ეკო" ("სანდასტექმრ."-ის სარ. კ-ტი) | 46679 | 16500 | 35.35 | 24122.81 | 238-124 | თბილისი, ენუქიძის 12, ტ. 718651, 717753 | შ. ნიქაბაძე | 5.6 |
| 16. | VII | 125. "სხმული" (თბ.სამსხმ. მექანიკ. ქ-ნა) | 494592 | 240000 | 48.52 | 350877,2 | 234-125 | თბილისი, მარნეულის 44, ტ. 720766 | ზ. ჩიხლაძე | 0.5 |
| 17. | VI | 131. "მაუდი" (მაუდ.-კამვ. კ-ტი "საქართველო") | 1606905 | 700000 | 43.56 | 1023392 | 231-131 | წერეთლის გამზ. 140, ტ. 343136, 343156 | ჯ. ალიბეგაშვილი | 9.16 |
| 18. | XII | 229. "სურამის ღვინის ქარხანა" (ხაშ. რ.0 | 66979 | 31600 | 47.18 | 46198.83 | 600-229 | ხაშური, დ. სურამი, ალმაშენებლი ქ. ტ.23 | ზ. რუსია | 1.5 |
